აუდიტორული დასკვნა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი"-ს მიერ 2012 წლის 24 თებერვალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

22 იანვარი 2014 წ.

შპს გრანთ თორნთონ
მამარდაშვილი ქ. 3
0102, თბილისი, საქართველო

ტ.+ 995 32 2 60 44 06
ტ. +995 32 2 14 34 54

Grant Thornton LLC
3 Mamardashvili Str.
0102 Tbilisi, Georgia

+ 995 32 2 60 44 06
+ 995 32 2 14 34 54

22 იანვარი 2014 წ.

ა(ა)იპ "საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტ"-ს

შპს "გრანთ თორნთონ"-ის დირექტორმა ნელსონ პეტროსიანმა და სერტიფიცირებულმა აუდიტორმა კარინე მარტიროსიანმა ჩავატარეთ თქვენთან, ა(ა)იპ "საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტ"-თან სათანადო მომართვისა და 2013 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული პროცედურები თქვენს მიერ 2012 წლის 24 თებერვალს და 2012 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის დადგენის მიზნით.

გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, რომელიც ეხება შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგებას.

პროცედურები შესრულებულია მხოლოდ იმისათვის, რომ წარუდგინოთ დასკვნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იმ ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც გევალებოდათ თქვენსა და სამინისტროს შორის 2012 წლის 24 თებერვალს და 19 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებებით.

ნასყიდობის საგანია: შპს "არგომეტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: №404893727) 100%-იანი წილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით.

ნასყიდობის ხელშეკრულებით გარდა საპრივატიზებო საფასურის გადახდისა, რომელმაც შეადგინა 4,150,000 (ოთხი მილიონ ასორმოცდაათი ათასი) დოლარი, მყიდველს დაეკისრა შემდეგი დამატებითი ვალდებულების შესრულება:

3.1.2. გამოიყენოს შპს "აგრომეტი"-ს საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის მე-12 კმ.-ზე მდებარე 599,438 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.72.14.006.538), საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 15 თებერვლის №15/02/03 განკარგულების გამოცემამდე არსებული სასწავლო ინფრასტრუქტურა

ძირითადად სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულებით წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმიბიდან 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) თვის განმავლობაში.

3.1.3. განახორციელოს შპს "აგრომეტის" საკუთრებაში არსებულ ქ. თბილსში, დ. აღმაშენებლის მე-12 კმ.-ზე მდებარე 599,438 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.72.14.006.538), 8 000 000 (რვა მილიონი) ლარის ინვესტიცია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმენიდან 22 თვის განმავლობაში.

3.1.7 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.2. და/ან 3.1.3. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობების შესრულების დადასტურების მიზნით, გამყიდველს წარუდგინოს "საწარმოებისათვის აუდიტორული ფანანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 05 სექტემბრის №360 განკარგულებით განსაზღვრული საექსპერტო ან/და ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნა შესრულების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

წინამდებარე დასკვნა ეხება მხოლოდ ხელშეკრულების 3.1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:

– დასკვნაში გადმოცემული შედეგები ეფუძნება აუდიტორის ცოდნას და გამოცდილებას.

– აუდიტორს არ გააჩნია აუდიტის ობიექტის მიმართ რაიმე ინტერესი;

– აუდიტორის ანაზღაურება არ არის დამოკიდებული დასკვნაში მიღებულ რომელიმე სიდიდეზე;

– აუდიტი ჩატარებულია ეთიკის კოდექსის და ქცევის სტანდარტებთან შესაბამისობაში;

– აუდიტორის განათლება შეესაბამება აუცილებელ მოთხოვნებს;

– აუდიტორს გააჩნია შესაბამისი გამოცდილება;

– აუდიტორმა მოახდინა აუდიტის ობიექტის ინსპექტირება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის სამართლებრივი შეფასება სცილდება აუდიტის კომპეტენციის ფარგლებს.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით დადგინდა შემდეგი:

<u>**მოთხოვნა:**</u> 3.1.3. განახორციელოს შპს "აგრომეტის" საკუთრებაში არსებულ ქ. თბილსში, დ. აღმაშენებლის მე-12 კმ.-ზე მდებარე 599,438 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.72.14.006.538), 8 000 000 (რვა მილიონი) ლარის ინვესტიცია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 22 თვის განმავლობაში.

<u>შესრულება:</u> ა(ა)იპ "საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტ"-ის საბუღალტრო ჩანაწერების, იურიდიული და ფინანსური დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა რომ შესრულებული ინვესტიციის მოცულობამ დღგ-ს გარეშე 2013 წლის 24 დეკემბერს შეადგინა:

ინვესტიციის კატეგორია	ლარი
კაპიტალური დანახარჯები	9,269,896
ავეჯი და აღჭურვილობა	1,954,778
ჯამი	**11,224,674**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილზე ინსპექტირების შედეგებითა და აუდიტისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ "საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტ"-ის მიერ 2012 წლის 24 თებერვალს და 2012 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად 3.1.3 ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია.

ნელსონ პეტროსიანი	კარინე მარტიროსიანი
დირექტორი	სერტიფიცირებული აუდიტორი

Grant Thornton

www.grantthornton.ge

Private and Confidential